დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2025 წლის 28 მარტი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების განსაზღვრის შესახებ, რომლის დასახლებებში სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[2]“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 6[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხა, რომლის დასახლებებში სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართალურთიერთობებზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხა, რომლის დასახლებებში სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

N	**ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება**
1	ქ. დმანისის ადმინისტრაციული ერთეული
2	ამამლოს ადმინისტრაციული ერთეული
3	განთიადის ადმინისტრაციული ერთეული
4	გომარეთის ადმინისტრაციული ერთეული
5	გუგუთის ადმინისტრაციული ერთეული
6	დიდი დმანისის ადმინისტრაციული ერთეული
7	დმანისის თემის ადმინისტრაციული ერთეული
8	ირგანჩაის ადმინისტრაციული ერთეული
9	იფნარის ადმინისტრაციული ერთეული
10	კამარლოს ადმინისტრაციული ერთეული
11	კარაბულახის ადმინისტრაციული ერთეული
12	კიზილქილისის ადმინისტრაციული ერთეული
13	მაშავერის ადმინისტრაციული ერთეული
14	ოროზმანის ადმინისტრაციული ერთეული
15	საკირეს ადმინისტრაციული ერთეული
16	სარკინეთის ადმინისტრაციული ერთეული